ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14241985**

თარიღი:**16/07/2024**

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ ელექტრონული პირობებიანი აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 119-ე მუხლის და 122-ე მუხლის მე-4 პუნქტის, „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 28 ივნისის №30 დადგენილების და „გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონზე გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრის, აუქციონის პირობებისა და ჩატარების პროცედურის დადგენის შესახებ“ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 12 ივლისის №გ-15.15241942 განკარგულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის შესახებ.

2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის ვადა განისაზღვროს 10 (ათი) წლით.

3. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საწყისი საფასური განისაზღვროს 17 830 496 (ჩვიდმეტი მილიონ რვაას ოცდაათი ათას ოთხას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით.

4. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული, გარე რეკლამის განთავსების ნებართვის აუქციონის შედეგად განსაზღვრული საბოლოო

საფასურის გადახდა განხორციელდეს ერთჯერადად, წინასწარ, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 კალენდარული დღის ვადაში (გადახდილი „ბე“-ს თანხა ჩაითვლება ნებართვის საფასურში).

5. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ადგილები, წინამდებარე ბრძანების დანართი 1-ის და დანართი 2-ის თანახმად (დანართი 1-ში და დანართი 2-ში მითითებული გარე რეკლამის ტიპები არის საინფორმაციო ხასიათის და გამარჯვებული პირი უფლებამოსილია მოცემულ ადგილებზე, საკუთარი შეხედულებმისამებრ განათავსოს სხვა სახეობის გარე რეკლამა, დანართი 1-ში და დანართი 2-ში მითითებული პარამეტრების ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით).

6. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე უძრავ ქონებაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის წესით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, წინამდებარე ბრძანების დანართი 3-ის თანახმად.

7. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ www.eauction.ge-ს მეშვეობით.

8. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

9. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

10. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

11. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი